

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 7 (105)


11 ივლისი

1960 წელი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

- 77. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.
 - 78. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის მეორე გენერალური შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
 - 79. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 10 მაისის კანონში ზოგიერთ დამატებათა შეტანის შესახებ.
 - 80. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბ. მ. ვოლკოვის ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
 - 81. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნ. ა. მიხაილოვის ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად დანიშვნის შესახებ.
 - 82. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჯ. რასულოვის ტოგოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად დანიშვნის შესახებ.
 - 83. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. რ. ა. რუდენკოს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ.
 - 84. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტ. თ. შტიკოვის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
 - 85. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. უსტინოვის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად დანიშვნის შესახებ.
- ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ.
საინფორმაციო ცნობა.



ბანყოფილება პირველი

- 86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აზხ. ნ. გ. გომელაუ-რის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.
- 87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის აზხ. ი. ს. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.

ბანყოფილება მეორე

- 88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის კ. ს. სტა-ნისლავსკის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის კ. ს. სტა-ნისლავსკის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.



77 საჯაროთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სურვილით განავითარონ და გააღრმავონ მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე სახელმწიფოს შორის აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის დარგში, გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — **კ. ი. ალექსანდროვი**, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — **ევჟენ ერბანი**, სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სამმართველოს თავმჯდომარე,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო წესრიგსა და ჯეროვან ფორმაში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემოთყვანილზე:

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ეს შეთანხმება ვრცელდება მოქალაქეთა ყველა სახეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე, რომლებიც დადგენილია ხელშეკრულების დამდებ მხარეთა კანონმდებლობით.

2. სოციალური უზრუნველყოფა გულისხმობს ყველა სახეობის მატერიალურ უზრუნველყოფას (ფულად და ნატურით), რომლებსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები აძლევენ მოქალაქეებს ავადმყოფობის შემთხვევაში, ორსულობისა და მშობიარობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის გამო, მიუხედავად ინვალიდობის მიზეზებისა, ოჯახებს მარჩენალის დაკარგვის გამო და სხვა შემთხვევებში.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მოქალაქენი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის ტერიტორიაზე, სო-

ციალური უზრუნველყოფისა და შრომითი ურთიერთობის ყველა საკითხში მთლიანად გაუთანაბრდებიან ხელშეკრულების დამდებ ამ მხარის მოქალაქეებს, თუ ამ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

სოციალური უზრუნველყოფის განხორციელება

მუხლი 3

1. სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების დროს გამოიყენება ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს მოქალაქე, თუ ამ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სოციალურ უზრუნველყოფას ახორციელებენ ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს მოქალაქე, რომელმაც ადრე შეამდგომლობა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

მუხლი 4

შრომითი სტაჟის გამონაკარისთვის წესი
პენსიებისა და დახმარების დანიშვნის დროს

1. პენსიებისა და დახმარებების დანიშვნის დროს მთლიანად ჩაითვლება ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ტერიტორიაზე მუშაობის სტაჟი, მათ შორის აგრეთვე სტაჟი, რომელიც უფლებას იძლევა დაინიშნოს პენსია შეღავათიან პირობებში და შეღავათიანი ოდენობით, ამასთან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ჩათვლიან შრომის სტაჟს ანდა პერიოდს შრომის სტაჟის თანაბარი სხვა საქმიანობისა, როგორც თავის, ისე სხვა სახელმწიფოში, მიუხედავად იმისა, თუ საჭირო სტაჟის რა ნაწილი მოდის მუშაობაზე თვითეულ ამ სახელმწიფოში.

2. სტაჟის გამონაკარისება ხელშეკრულების დამდებ თვითეულ მხარეში მუშაობის დროისათვის წარმოებს ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მუშაობა ან მასთან გათანაბრებული საქმიანობა.

მუხლი 5

ხელფასის გამონაკარისთვის წესი
პენსიებისა და დახმარების დანიშვნის დროს

1. მოქალაქეებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან გადასახლდნენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერი-

ტორიაზე და იმუშავეს გადასახლების შემდეგ, პენსიები და დახმარებები მოეანგარიშებათ იმ ქვეყანაში მუშაობის ხელფასიდან, სადაც ისინი სახლდნენ.

2. მოქალაქეებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან გადასახლდნენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე და რომლებსაც გადასახლების შემდეგ არ უმუშავიათ, პენსიები და დახმარებები გამოეანგარიშებათ იმის კვალობაზე, თუ რა საშუალო თვიური ხელფასი აქვთ შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშაკებს პენსიებისა და დახმარებების დანიშვნის დროისათვის იმ ქვეყანაში, სადაც ისინი გადასახლდნენ. პენსიებისა და დახმარებების გამოანგარიშების ეს წესი გამოიყენება აგრეთვე მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლდნენ მათთვის პენსიების ან დახმარებების დანიშვნის შემდეგ.

პენსიების დანიშვნა და გადახდა

მუხლი 6

პენსიებს ნიშნავენ და იხდიან ხელშეკრულების დამდები იმ მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე პენსიის დასანიშნავად მიმართვის დღისათვის მუდმივად ცხოვრობენ მოქალაქენი, რომელთაც პენსიის უფლება აქვთ; პენსიების დანიშვნა წარმოებს ხელშეკრულების დამდები ამ მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით და ოდენობით.

მუხლი 7

1. თუ პენსიონერი ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან გადასახლდა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, სოციალური უზრუნველყოფის ორგანო, რომელიც მას პენსიას უხდის, შეწყვეტს პენსიის გაცემას იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მოსდევს თვეს, როცა მოხდა გადასახლება.

2. ხელშეკრულების დამდები იმ მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანო, რომლის ტერიტორიაზე გადასახლდა პენსიონერი, გადასახლების შემდეგ აძლევს პენსიონერს პენსიას ხელშეკრულების დამდები ამ მხარის კანონმდებლობის თანახმად. ამ შემთხვევაში პენსიის უფლება არ გადაისინჯება, თუ ხელშეკრულების დამდები ამ მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთივე სახის პენსიას. მოხუცებულობის პენსიის მიცემა ხდება იმ პირობით, თუ მიღწეულია ასაკი, რომელიც საჭიროა ამ პენსიის დასანიშნავად, ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზე პენსიონერი გადასახლდა.

3. თუ გადასახლებული პენსიონერი დაბრუნდა ხელშეკრულების დამდები იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც იგი თავდაპირველად ცხოვრობდა, ხელშეკრულების დამდები ამ მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანო პენსიო-

ნერის დაბრუნების შემდეგ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან განაახლებს პენსიის გადახდას, რომელიც შეუწყდა ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებების თანახმად.

მუხლი 8

დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო და სხვა
დახმარება

1. დახმარებას დროებითი შრომისუუნარობის გამო, დახმარებას ბავშვების შესანახად და აღსაზრდელად, ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვის დაბადებისათვის და სხვა დახმარებას ნიშნავენ და იხდიან ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს მოქალაქე, და ხელშეკრულების დამდები ამ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან დახმარებას ბავშვების შესანახად და აღსაზრდელად ნიშნავენ და იხდიან ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობენ ბავშვები.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე, რომელიც დახმარებას იღებს, ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან გადასახლდა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, დახმარების გადახდა წყდება გადასახლების დღისათვის, ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე მოქალაქე გადასახლდა, ამ შემთხვევაში ნიშნავენ დახმარებას თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9

სამედიცინო მომსახურება

1. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მოქალაქეებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, გაეწევათ სამედიცინო მომსახურება საკუთარი მოქალაქეებისათვის დაწესებულ პირობებში.

2. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მოქალაქეთა ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ გაგზავნის პირობებს არეგულირებენ განსაკუთრებული შეთანხმებებით.

მუხლი 10

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფა

1. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიურ, საკონსულო, სავაჭრო წარმომადგენლობათა და სხვა დაწესებულებათა იმ მუშაკების სოციალური უზრუნველყოფა, რომლებიც სხვა სახელმწიფოში იმყოფებიან, წარმოებს გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობით, თუ აღნიშნული თანამშრომლები ამ სახელმწიფოს მოქალაქენი არიან. იგივე წესი გამოიყენება მაშინ, როცა ხორციელდება

სხენებულ დაწესებულებათა მუშაკებთან დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური უზრუნველყოფა, თუ ისინი მათი გამგზავნი მოქალაქეები არიან.

ქვეყნის
საგარეო
მინისტროს
სამართლებრივი
სამსახური

2. სოციალური უზრუნველყოფა:

ა) ერთი სახელმწიფოს მიწისზედა და საჰაერო ტრანსპორტის საწარმოთა, აგრეთვე სამდინარო და საზღვაო ნაოსნობის მუშაკებისა, რომლებსაც გზავნიან დროებით ან მუდმივ სამუშაოზე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (შემადგენელ ან ორმხრივ ხაზებზე, სასაზღვრო ან გადასასვლელ სადგურებზე, ნავსადგურებში, მცურავ საშუალებებზე, აეროდრომებზე და ა. შ.);

ბ) ერთი სახელმწიფოს სხვა საწარმოთა მუშაკებისა, რომლებსაც გზავნიან დროებით სამუშაოზე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე,

იწარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც საწარმოს მმართველობის ორგანოები იმყოფებიან.

3. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების მიმართ მოქმედებს ამ შეთანხმების 9 მუხლის დებულებები.

4. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში სოციალური უზრუნველყოფას მისცემენ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, რომლებმაც მუშაკი გაგზავნეს.

მუხლი 11

სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახეობანი

1. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, ხელშეკრულების დამდები ამ მხარის კომპეტენტური ორგანოები გაუწევენ საჭირო დახმარებას და უზრუნველყოფას, თუ ისინი ამას საჭიროებენ, იმავე პირობებით, როგორც თავის მოქალაქეებს.

2. დახმარებისა და უზრუნველყოფის გაწევა შეიძლება მატერიალური დახმარების, შესაწევარის, ინვალიდებისა და ღრმად მოხუცებულთა სახლებში მოთავსების სახით და ა. შ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ერთდროულად რამდენიმე სახეობის დახმარებისა და უზრუნველყოფის გაწევა.

მუხლი 12

სოციალური უზრუნველყოფის განხორციელებასთან

დაკავშირებული ხარჯები

ყველა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ შეთანხმების თანახმად სოციალური უზრუნველყოფის განხორციელებასთან, ეწევა ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც იძლევა უზრუნველყოფას, ამასთან ურთიერთანგარიში ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის არ წარმოებს.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციის თანამშრომლობა

1. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, სასამართლოები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის განხორციელებაში, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ორგანოებს უფასოდ გაუწევენ სამართლებრივ დახმარებას იმავე მოცულობით, როგორც სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების დროს საკუთარ სახელმწიფოში. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ერთმანეთს მიაწოდებენ საჭირო ინფორმაციას იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პენსიების ან დახმარების დანიშვნისათვის, აგრეთვე საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ ამ გარემოებათა დასადგენად.

2. საბუთები, რომლებიც ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიაზე გაცემული იყო დადგენილი ფორმით ან შემოწმებული შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ და დადასტურებული ოფიციალური ბეჭდით, მიიღება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე სხვა რაიმე მოწმობის გარეშე.

მუხლი 14

ვადავის დაცვა

განცხადებები, საჩივრები, სასარჩლო განცხადებები და სხვა საბუთები, რომლებიც შეტანილი იყო კანონით დადგენილ ვადაში ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებსა, სასამართლოებში ან სხვა დაწესებულებებში, თავის დროზე შეტანილად ჩაითვლება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ორგანოებში. ამ შემთხვევებში საჭიროა განცხადებები და სხვა დოკუმენტები გადაუღებლივ გაეგზავნოს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ცენტრალურ დაწესებულებას ან ორგანოს ამ შეთანხმების 16 მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 15

მოკალაქეთა ინტეგრაციის წარმოადგენლობა

ამ შეთანხმების განხორციელების დროს ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის დიპლომატიური ან საკონსულო დაწესებულების თანამშრომლებს შეუძლიათ უშუალოდ და განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე წარმოადგინონ თავიანთი სახელმწიფოს მოქალაქენი ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების, სასამართლოების ან სხვა დაწესებულებების წინაშე.

მუხლი 16

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების
ურთიერთობის წესი



1. ამ შეთანხმების განხორციელების დროს ხელშეკრულების დამდები მხარეების სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები უკავშირდებიან ერთმანეთს თავიანთი ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანოების მეშვეობით, რომელთა სახელწოდებას ხელშეკრულების დამდები მხარეები ურთიერთ შეატყობინებენ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

2. საკითხები, რომლებიც ვერ გადაჭრეს ცენტრალურმა დაწესებულებებმა და ორგანოებმა, გადაიჭრება დიპლომატიური გზით.

მუხლი 17

თანამშრომლობა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან

ხელშეკრულების დამდები მხარეები განახორციელებენ ამ შეთანხმებას თავიანთი ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მუხლი 18

გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები განახორციელებენ გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლას სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეების ცენტრალური დაწესებულებები და ორგანოები, რომლებიც კომპეტენტური არიან განახორციელონ სოციალური უზრუნველყოფა, ურთიერთ აცნობენ მოქმედ კანონმდებლობას სოციალური უზრუნველყოფის დარგში და მის შემდგომ ცვლილებებს.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 19

1. ამ შეთანხმების შესაბამისად პენსიებისა და დახმარების დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება აგრეთვე შრომის სტაჟი და შრომის სტაჟის თანაბარი სხვა საქმიანობის პერიოდი, რაც შექმნილია ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე.

2. ამ შეთანხმების 6 და 7 მუხლების დებულებანი ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როცა პენსიის უფლება წარმოიშევა ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე.



1. ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას; სარატიფიკაციო სიგელის გაცვლა მოხდება უახლოეს დროში მოსკოვში. შეთანხმება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

2. ხელშეკრულების დამდებ თვითეულ მხარეს შეუძლია გაუქმებულად გამოაცხადოს ეს შეთანხმება არაუგვიანეს კალენდარული წლის გასვლამდე ექვსი თვით ადრე. დენონსაცია ძალაში შევა შემდეგი წლის 1 იანვრიდან.

3. ამ შეთანხმების დენონსაციის შემთხვევაში პენსიები, რომლებიც დანიშნულია და გაიცემა ამ შეთანხმების საფუძველზე, გაუთანაბრდება პენსიებს, რომლებიც დანიშნულია ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს პენსიონერი. ამ შეთანხმების დებულებათა თანახმად წარმოშობილი უფლებანი არ კარგავენ თავიანთ ძალას შეთანხმების დენონსაციის შემთხვევაში.

ეს შეთანხმება შედგენილია პრალაში 1959 წლის 2 დეკემბერს ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ჩეხურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
რწმუნებით

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის
პრეზიდენტის რწმუნებით

ა. ალექსანდროვი.

ა. პრახანი.

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 27 თებერვალს; ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ 1960 წლის 6 ივნისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1960 წლის 28 ივნისს.

მ ა მ ი

1959 წლის 2 დეკემბერს პრალაში ხელმოწერილი შეთანხმებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის შესახებ

სოციალური უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დროს ხელშეკრულების დამდები მხარეები ადასტურებენ ქვემოთყვანილს:

I

1 მუხლისათვის

შეთანხმების დებულებები ვრცელდება აგრეთვე ყველა სახეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე, რომელიც ეძლევათ სამხედრო მოსამსახურეებს, ომი-სა და სამხედრო სამსახურის ინვალიდებს, ფაშინებისა და ფაშისტური დევნის მსხვერპლებს და სხვებს, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამდებ მხარეთა კანონმდებლობით.

7 და 8 მუხლისათვის

შეთანხმების 7 და 8 მუხლების დებულებანი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე გადასახლდა ან დაბრუნდა მუდმივ საცხოვრებლად ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე ხელშეკრულების დამდებ მხარეთა თანხმობით. იმ შემთხვევაში, როცა მოქალაქე გადასახლდა შეთანხმების ძალაში შესვლამდე, იგულისხმება, რომ იყო თანხმობა ასეთ გადასახლებაზე; თუ კი გარემოებათა მიხედვით საწინააღმდეგო არ გამოდის.

III

18 მუხლისათვის

გამოცდილების გაცვლა სოციალური უზრუნველყოფის დარგში განხორციელდება, კერძოდ:

ა) ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შესაბამის დაწესებულებებსა, ორგანოებსა და ორგანიზაციებს შორის სპეციალური ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების გაცვლის გზით;

ბ) ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სოციალური უზრუნველყოფის განვითარებისა და შედეგების შესახებ საზოგადოებრიობის შესაბამისი ინფორმაციის გზით;

გ) სპეციალისტების ურთიერთ სტუმრობის გზით;

დ) განხორციელებულ მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა შედეგების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გზით.

IV

19 მუხლისათვის

1. ერთი თვის განმავლობაში შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე გადასცემს ერთმანეთს იმ პენსიონერების—საკუთარი მოქალაქეებისა და ხელშეკრულების დამდები სხვა მხარის მოქალაქეების სიებს, რომლებსაც შეთანხმების ძალაში შესვლამდე ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა დაუნიშნეს და უგზავნიდნენ პენსიებს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე. ხელშეკრულების დამდები მხარეების სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, რომლებიც უგზავნიან პენსიებს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, პენსიონერთა სიების გაცვლის დღიდან ორი თვის გასვლის შემდეგ შეწყვეტენ აღნიშნული პენსიების გადაგზავნას. ხელშეკრულების დამდები იმ მხარის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ეს მოქალაქენი, პენსიონერთა სიების გაცვლის დღიდან ორი თვის გასვლის შემდეგ

გადაუხდინან მათ პენსიებს ადრე დადგენილი ოდენობით, თუ პენსიების ოდენობა იმ პენსიებზე უფრო მაღალია, რომელთა დანიშვნა შეიძლება შეთანხმებული იქნას 7 მუხლის შესაბამისად. მაგრამ პენსიის ოდენობა არ უნდა იყოს შესაბამისი სახეობის პენსიის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტი და მინიმალურზე ნაკლები, რაც გათვალისწინებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც პენსიონერი ცხოვრობს.

2. შეთანხმების 12 მუხლის დებულებებს, რომელთა ძალით არ წარმოებს ურთიერთანგარიში ხარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური უზრუნველყოფის განხორციელებასთან, ძალა აქვთ 1 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებშიც.

V

შეთანხმების დებულებანი არ ვრცელდება პერსონალურ პენსიებსა და პერსონალური პენსიონერებისათვის მინიჭებულ შეღავათებზე.

ეს ოქმი განუყრელი ნაწილია შეთანხმებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

შედგენილია პრაღაში 1959 წლის 2 დეკემბერს 2 ეგზემპლარად თვითუღი რუსულ და ჩეხურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
რწმუნებით
ა. ალექსანდროვი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის
პრეზიდენტის რწმუნებით
მ. არბანი.

გრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის მეორე გენერალური შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი მეორე გენერალური შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე, ხელმოწერილი ბოგორში 1960 წლის 29 თებერვალს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 27 ივნისი.

„მრავალღობისა და მონეაღობის მართვის ორგანიზაციის შემადგომი სრულყოფის თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 10 მაისის პანონში ზოგიერთ დამატებათა შეტანის შესახებ

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. შეტანილ იქნას სსრ კავშირის 1957 წლის 10 მაისის კანონში „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ შემდეგი დამატებანი:

ა) დაემატოს მე-3 მუხლს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებშიც არის რამდენიმე ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონი, სახალხო მეურნეობის საბჭოების სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციისათვის შეიძლება შეიქმნას სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოები“;

ბ) დაემატოს მე-4 მუხლს მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს ქმნის მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში“.

გ) დაემატოს მე-5 მუხლს მეორე და მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებშიც იქმნება სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოები, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები თავის საქმიანობაში ექვემდებარებიან, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ასევე სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს.“

სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭო მთელ თავის საქმიანობაში ექვემდებარება უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს“.

ამასთან დაკავშირებით მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5.** ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭო მთელ თავის საქმიანობაში ექვემდებარება უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.“

მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებშიც იქმნება სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოები, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები თავის საქმიანობაში ექვემდებარებიან, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ასევე სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს.

სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭო მთელ თავის საქმიანობაში ექვემდებარება უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახალხო მეურნეობის საბჭოებზე ხელმძღვანელობას ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საშუალებით“;

დ) მე-7 მუხლში სიტყვების შემდეგ: „ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის“ ჩართული იქნას სიტყვები: „და სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭო“;

ე) მე-8 მუხლში სიტყვების შემდეგ: „ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის“ ჩართული იქნას სიტყვები: „და სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭო“ და დაემატოს მე-8 მუხლს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს შეუძლია შეაჩეროს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების დადგენილებები და განკარგულებანი“.

ამასთან დაკავშირებით მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭო და სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

სახალხო მეურნეობის რესპუბლიკურ საბჭოს შეუძლია შეაჩეროს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების დადგენილებები და განკარგულებანი.

სახალხო მეურნეობის საბჭოების დადგენილებები და განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო მეურნეობის საბჭოების დადგენილებები და განკარგულებანი“.

2. ეს ბრძანებულება, აგრეთვე წინადადებანი სსრ კავშირის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებათა შესახებ შეტანილ იქნას განსახილველად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 ივლისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 ბ. მ. ვოლკოვის ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ბორის მიხეილის ძე ვოლკოვი ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 27 ივნისი.

81 ნ. ა. მიხაილოვის ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მიხაილოვი ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 27 ივნისი.

82 ჯ. რასულოვის ტოგოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ჯაბარ რასულოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ტოგოს რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 28 ივნისი.

83 ამხ. რ. ა. რუდენკოს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ამხ. რ. ა. რუდენკოს რწმუნების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ამხ. რომან ანდრიას ძე რუდენკო დაინიშნოს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად მეორე საკონსტიტუციო ვადით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 1 ივლისი.



84 ტ. თ. შტიკოვის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ტერენტი თომას ძე შტიკოვი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 ივლისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 ვ. ი. უსტინოვის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ვლადიმერ ივანეს ძე უსტინოვი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 ივლისი.

ც ნ ო ბ ა

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ

1960 წლის 26 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ოჩამჩირის № 383 საქალაქო საარჩევნო ოლქში შედგა არჩევნები ეროვნებათა საბჭოში.

დეპუტატად ეროვნებათა საბჭოში ოჩამჩირის № 383 საქალაქო საარჩევნო ოლქიდან არჩეულია ამხ. გიორგი სამსონის ძე ძოწენიძე, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სანიშორება ცნობა

ინდოეთში ბხილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური თანამშრომლობის მიხედვით შენდება, მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედ-



ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

88 მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო დრამა-
ტული თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1960 წელს ქალაქ თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ველდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 8 ივლისი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

89 მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო დრამა-
ტული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1960 წელს ქალაქ თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის დაჯილდოვდენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ოლა პავლეს ასული ბგანი — მსახიობი
2. ვასილ იოსების ძე გველესიანი — თეატრის დირექტორი
3. თინა ალექსის ასული გურჯო — მსახიობი, რსფსრ დამსახურებული არტისტი
4. მიხეილ მიხეილის ძე იანჭინი — თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი
5. მარიამ ალექსანდრეს ასული კრავჩუნოვსკაია — მსახიობი, რსფსრ დამსახურებული არტისტი
6. ალევტინა კონსტანტინეს ასული კონსტანტინოვა — მსახიობი
7. დავით იაკობის ძე ლევიტი — სამხატვრო-სადადგმო ნაწილის გამგე
8. ევგენი პავლეს ძე ლეონოვი — მსახიობი, რსფსრ დამსახურებული არტისტი
9. მაია გრიგოლის ასული მენგლეტი — მსახიობი
10. ნიკოლოზ ივანეს ძე მიხაილოვი — მსახიობი, რსფსრ დამსახურებული არტისტი



11. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე სალანტი — მსახიობი
12. ტატიანა ნიკოლოზის ასული სემიჩოვა — მსახიობი, უკრაინის სსრ-ის სახურებელი არტისტი
13. ევგენი იაკობის ძე ურბანსკი — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ თბილისი, 1960 წლის 8 ივლისი.